# ეკონომიკური ზრდის ტემპი

III კვარტალი, 2021 წელი

**პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის III კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დადებითი იქნება და 8.7% დაფიქსირდება.** აღსანიშნავია, რომ რეალური მშპ-ს აღნიშნული სიდიდე 2.7%-ით აღემატება 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელს. მშპ-ის მოსალოდნელი ზრდა განპირობებულია 2021 წლის განმავლობაში გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობით და ე.წ. 2020 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკის შემცირების საბაზისო ეფექტით, რომელიც COVID-19 პანდემიით იქნა გამოწვეული, თუმცა 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით დაბალი ზრდის ტემპი განპირობებულია განსხვავებული საბაზისო ეფექტით (2020 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკა შემცირდა 13.2%-ით, ხოლო მესამე კვარტალში მხოლოდ 5.6%-ით) და აგრეთვე, III კვარტალში COVID-19 პანდემიის გაუარესებული მდგომარეობით. ვაქცინაციის პროცესის და სხვადასხვა ტიპის შეზღუდვების პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის ტემპის გამოცოცხლებაც.

აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებებს, რომ 2020 წლის მესამე კვარტალთან შედარებით:

⇒ ტურიზმის **მოცულობა დაახლოებით 5.5-ჯერ გაიზრდება**, (2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 3.6-ჯერ ნაკლები). ამავე დროს **უმნიშვნელოდ გაიზრდება ქვეყნიდან გასული ტურისტების რიცხოვნობაც**.

⇒ ტურიზმის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად **კვლავ შენარჩუნდება** შიდა ტურიზმის აქტივობა.

⇒ **გაიზრდება როგორც კერძო, ისე მთავრობის მოხმარების მოცულობა.**

⇒ **გაიზრდება კერძო ინვესტიციები**, რაც მოხმარებასთან ერთად განაპირობებს ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ დადებით ტემპს.




*პროგნოზის ინტერვალი აღნიშნავს 50%-იან ალბათობას, რომ მშპ-ის ზრდის ტემპი მოცემულ ზღვრებს შორის იქნება.

⇒ მომსახურებით ვაჭრობის მკვეთრი ზრდის პარალელურად, მოსალოდნელია საქონლით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდაც.
⇒ გაზრდილი მოხმარების და ინვესტიციების პარალელურად მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად **გაიზრდება საქონლის იმპორტის რაოდენობაც**.
⇒ გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების ფონზე მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ექსპორტზე მოთხოვნა და შესაბამისად, **გაიზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობაც.**

**აღნიშნული დაშვებების რაოდენობრივი შეფასების შედეგად მოსალოდნელია**, რომ ექსპორტის მოცულობა უფრო მეტად გაიზრდება, ვიდრე იმპორტი და წმინდა ექსპორტის კომპონენტი 2.6%-ული პუნქტით განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას, ხოლო აბსორბციის (მოხმარების და ინვესტიციების ჯამი) კომპონენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და მშპ-ს ცვლილებას 6.1%-ული პუნქტით განაპირობებს*.




*2021 წლის III კვარტლის მშპ-ს ზრდის დეკომპოზიცია. საბიუჯეტო ოფისის შეფასება.

**დამატებითი ინფორმაცია:**

- წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები
- განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ